

# ჭექა-ქუხილის ძველანატოლიური რიტუალი<sup>1</sup>

## თარგმანი:

ნინა მხარე I

1. [როდესაც ამინდის ღვთაება<sup>2</sup> დაიჭექებს, სასახლის მოხელე<sup>3</sup> გაიქცევა, მეფის გვერდით
2. რკინის [ტახტი]თან მიიღებს, მცველების<sup>4</sup> წინ
3. დადგება. მეფის ძენი მიდიან, მცველების უკან
4. დადგებიან. სასახლის მოხელენი დაიკავებენ (თავიანთ) ადგილს.
5. გარეშენი<sup>5</sup> (და) შინაურნი<sup>6</sup>
6. ფეხზე აგებიან, უკან დაიხვევენ, გაჩერდებიან.
7. მცველი იქ ქურას დადგამს, მივა და
8. მეფის ძეთა (და) ასულთა<sup>7</sup> წინ დადგება.
9. მეფისა (და) დედოფლის მოხელენი მივლენ და მეფისა და დედოფლის
10. მუხლის საფარს<sup>8</sup> და ფეხსადგამს<sup>9</sup> აიღებენ. მუხლის საფარს
11. წმინდა X<sup>10</sup>-ს დაადებენ. ფეხსადგამს მიწაზე
12. დადგამენ. მოხელეები უკან [დაიხვევენ] და თავიანთ ადგილს დაიკავებენ.
13. [მე]ფე და დედოფალი დგებიან ტახტიდან. მეფე ემთხვევა (მინას)
14. სარკმლის წინ, დედოფალიც [სა]რკმლის წინ
15. [დაი]ჩოქებს. მწდეთუხუცესი<sup>11</sup> მიანოდებს რკინის ბარძიმს<sup>12</sup> მეფეს.

<sup>1</sup> ჭექა-ქუხილის ძველანატოლიური რიტუალი CTH 631 (დანვრილებით ტექსტის ავტოგრაფების, ტრანსლიტერაციის, თარგმანისა და სრული ბიბლიოგრაფიის შესახებ იხ. ხეთოლოგიის პორტალი: [http://www.hethport.uni-wuerzburg.de/hetkonk/hetkonk\\_abfrage.php?c=631](http://www.hethport.uni-wuerzburg.de/hetkonk/hetkonk_abfrage.php?c=631)) სათავეს ხეთებამდელი პერიოდიდან იღებს. იგი ჩანერილი იყო იმ შემთხვევისთვის, როდესაც „ამინდის ღვთაება ჭექა-ქუხილს მოუვლენდა მეფეს“. რიტუალის ჩატარების წესი განსხვავდებოდა იმ შემთხვევაში, ჭექა-ქუხილის დროს მეფე სასახლეში იმყოფებოდა თუ მგზავრობისას.

<sup>2</sup> „ამინდის ღვთაება“ (ხეთ. Tarhunt(a), ლუვ. Data, ხურიტ. Tesub, აქად. Adad, შუმ. Iškur, ჩრდ. სემიტ. Ba'al) - ხეთების უმთავრესი ღვთაება. ხეთი მეფე თავს ამინდის ღვთაების მონად თვლიდა, რომელსაც თავის ძალაუფლებას მადლობდა. დანვრილებით სახელნოდების ნარმოშობის შესახებ იხ. Schwemer D., *The Storm-Gods of the Ancient Near East: Summary, Synthesis, Recent Studies*, P. II (2008) 17-24; Burney Ch., *Historical Dictionary of the Hittites* (2004) 257.

<sup>3</sup> DUMU É.GAL - „სასახლის მოხელე“ (აქად. *MĀR EKALLIM*), რომლის მოვალეობა იყო სასახლის რიტუალებში მონაწილეობა, სასამართლოში მოწმედ გამოსვლა და სხვ., დანვრილებით იხ. *Chicago Assyrian Dictionary* (CAD) 10 (1977) 258-259.

<sup>4</sup> LU<sup>1</sup>MEŠEDI- „მცველი“, სასახლის მოხელე, რომლის მოვალეობა იყო მეფის დაცვა. სასახლის სხვა მოხელეებთან ერთად მონაწილეობდა სასახლის რიტუალებში, დანვრილებით იხ. Alp S., *Untersuchungen zu den Beamtennamen im hethitischen Festzeremoniell* (Sammlung orientalistischer Arbeiten 5), (1940); ჩარექიშვილი ნ., „მცველთა ინსტიტუტი ხეთებთან“, თბილისი (2010).

<sup>5</sup> LU<sup>1</sup>.MEŠ ÚBARU: „უცხო კაცი, უცხოელი, უცხოელი სტუმარი, სტუმარი, უცხო ტომელი“, *Chicago Assyrian Dictionary* (CAD) 20 (2010), 11; Neu E. *Ein althethitisches Geweitteritual*, StBoT 12 (1970), 76-79. სავარაუდოდ, უნდა ვიგულისხმოთ ის პირი, ვინც არ ეკუთვნის ტაძრულს, ე.ი. სამეფო ოჯახს. მითუმეტეს, რომ ტექსტში საპირისპიროდ ნახსენებია პირები, რომლებიც მეფის წინ „მუდამ არიან“, სავარაუდოდ - „შინაურნი“ და „გარეშენი“.

<sup>6</sup> „ისინი, ვინც მეფის წინ მუდამ იმყოფებიან“.

<sup>7</sup> მეფის ძენი და ასულნი რიტუალის შესრულებაში უშუალოდ არ მონაწილეობენ, „გარეშე კაცების“ მსგავსად, რიტუალის მსვლელობისას სხედან და თვალყურს ადევნებენ.

<sup>8</sup> [(gi-nu-w)a-a]š GAD<sup>III.A</sup>. ტერმინის შესახებ იხ. ასევე ი. ტატიშვილი, *ხეთური რელიგია* (2001), 28.

<sup>9</sup> ñiri-gub(-ba): step; footstool, pedestal ('foot' + 'to stand'), Halloran J., *Sumerian Lexicon* (1999) 98. „ფეხსადგამი, ამაღლებული სადგამი, ასასვლელი“, რომელიც მეფის ტახტის წინ იდგმებოდა.

<sup>10</sup> šuppiwašhanalli- წმინდა ნივთი, რომელიც გამოიყენებოდა რიტუალის შესრულებისას. ამ ტერმინთან დაკავშირებით იხ. Ünal A., *Multilinguales Handwörterbuch des Hethitischen*, Hamburg (2007), 794.

16. მეფე სარკმლის წინ შესშესწირავს<sup>13</sup>. მნდეთუხუცესი გამოართმევს მეფეს  
 17. ბარძიმს და წაიღებს მას. მეფე და დედოფალი უკან დაბრუნდებიან  
 18. [ტახტის]კენ და დასხდებიან. მეფის ძენი (და) ასულნი  
 19. [დასხდებიან. უცხო კაც]ები მეფეს თავს დაუხრიან და დასხდებიან.
20. [მნდეს ამინდის ღვთაების] შემკულ ბარძიმს მოიტანს. მეფე და დედოფალი ადგებიან.  
 21. [დიაკვანი]<sup>14</sup> მოუხმობს. ამინდის ღვთაების თასიდან შესვამენ ისინი. სცემენ  
 22. [(დაფდაფს. მგალობლები<sup>15</sup>)] გალობენ. მნდეს ერთი (თავი) პური<sup>16</sup> გარედან შემოაქვს,  
 23. [მეფე გატეხს, მწ]დე აიღებს და გააქვს გარეთ.  
 24. [ ]დიაკვანი უხმობს. ტაძარში<sup>17</sup> (წირვა) დასრულებულია.
25. [როდესაც ] ამინდის ღვთაება დაიჭექებს, მეფე სარკმლის წინ  
 26. [დაიჩოქებს, (თავ) პურს გატეხს და დადებს სარკმელთან. [ღვინიანი] ბარძიმით  
 27. მეფე შესშესწირავს. შემდეგ ემთხვევა (მინას).
28. [როდესაც ამინდის ღვთაება დაიჭექებს, მეფე ეტლიდან გადმოვა,  
 29. [დაიჩოქებს და შესშესწირავს, შემდეგ ისევ ემთხვევა (მინას).  
 30. [როდესაც მეფე ზემოთ ქალაქში<sup>18</sup> ავა, იმ დღეს არაფერს [მოიმოქმედებს]  
 31. [ ხოლო] როდესაც გათენდება, გააღებენ (და) ფარ]დას  
 32. [გადასწევენ]. მეფე (ღვთისმსახურების) შესამოსელს<sup>19</sup> აიღებს [და] გარეთ  
 33. [გავა]. მცველი<sup>20</sup> ტაძრ[იდან სანმ]ისს<sup>21</sup> აიღებს  
 34. [და გაიტანს გარე]თ].
35. [მეფე გარე]დან შემოვა და შევა [ტაძარ]ში.  
 36. [ტახტ]თან გვერ[დით დადგება]. მესუფრე (და) მზარეულები  
 37. [ შემოვ]ლენ. ორი (ცალი) ქვევრი კი, - (რომელთაგან) ერთშიც 15 შავი  
 38. [(თავი) პური] და მეორეშიც 15 [შავი] (თავი) პური დევს - შემოაქვთ მათ  
 39. [და დადგამენ. -ს] გარედან შემოაქვს [ ]. შემდეგ აიღებს იგი  
 40. [ გირჩებს] ჩაყრის [შიგნით]. და იგი კვლავ  
 41. [აიღებს] და მეფეს [ ] საცეცხლურს მიანოდებს მეფეს  
 42. [ ] მიანოდებს იგი მეფეს.
43. [ ...] ისინი და დადგამენ მას იქვე. მეფე ტახტთან

<sup>11</sup> LÚ.SILA.ŠU.DU<sub>8</sub> - „მნდე“, GAL LÚ.MEŠ.SILA.ŠU.DU<sub>8</sub> - „მნდეთუხუცესი“, Glassner J. J., *Mundschenk*, RIA 8 (1993) 420-422; G. Frantz-Szabo, *Mundschenk*, RIA 8 (1993), 422-423; Charles Burney, *Historical Dictionary of Hittites* (2004) 35; ი. ტატიშვილი, *ხეთური რელიგია* (2001), 27.  
<sup>12</sup> iškariḫ = iškantuzziyaššar = <sup>DUG</sup>teššummi- (შუმ. GAL, აქად. UKURIGGU, ADAGU(R)RU > <sup>DUG</sup>A.DA.GUR<sub>5</sub>) - „ბარძიმი“, სარიტუალო თასი, რომლითაც ღვინოს წირავდნენ ღვთაებას.  
<sup>13</sup> რაც გამოიხატებოდა ღვთაებებისთვის წმინდა სასმისიდან ღვინის გადმოსხმით.  
<sup>14</sup> LÚ.kita- (LÚ.ALAMZU<sub>9</sub>) - „დიაკვანი, ტაძრის მოხელე, რომლის ერთ-ერთი მოვალეობა იყო ხალხის რიტუალისთვის მოხმობა“, იხ. აგრეთვე ი. ტატიშვილი, *ხეთური რელიგია* (2001), 30.  
<sup>15</sup> ტექსტში მოხსენიებული არის „მგალობლის/ტაძრის მომღერლის“ აღმნიშვნელი ორი ტერმინი: LÚ.MEŠ.halliyari- და LÚ.MEŠ.sahtarili- დანვრილებით ამ ტერმინების შესახებ იხ. Klinger J., *Zur Rekonstruktion der hattischen Kultschicht*, StBoT 37 (1996), 747-753; ი. ტატიშვილი, *ხეთური რელიგია* (2001), 29.  
<sup>16</sup> NINDA.GUR<sub>4</sub>.RA = <sup>NINDA</sup>harši- „სქელი/მაღალი (საფუარიანი) თავი პური“, Hagenbuchner-Dresel A., *Massangaben bei hethitischen Backwaren*, Dresdner Beiträge zur Hethitologie (DBH) 1 (2002) 170-171; ი. ტატიშვილი, *ხეთური რელიგია* (2001), 30-31.  
<sup>17</sup> <sup>E</sup>halentiu -, <sup>E</sup>halentuwa - „ტაძარი“, ვრცლად ამ ტერმინის შესახებ: *Hethitisches Wörterbuch*, Bd III/1 (1991) 20-26; Tatišvili I., *Zur <sup>E</sup>halentu- Frafe. Assyrien im Wandel der Zeiten*. Heidelberg (1997) 181-183  
<sup>18</sup> ე.ი. ხათუსაში.  
<sup>19</sup> aniyatt-/aniyatti = KIN, UNUTI, იხ. Ünal A., *Multilinguales Handwörterbuch des Hethitischen*, Hamburg (2007) 31; *Hethitisches Wörterbuch*, Bd I/1 (1975-1984) 88-89.  
<sup>20</sup> LÚ.huldala- სავარაუდოდ უნდა იყოს LÚ.MEŠ.EDI- „მცველი“-ს სინონიმი, *Hethitisches Wörterbuch*, Bd III/2 (2010) 704.  
<sup>21</sup> <sup>kuš</sup>kurša- . ამის შესახებ დანვრილებით იხ. მ. ლამბაშიძე, *ტყავის ნივთთა ტერმინოლოგია ხეთური ტექსტების მიხედვით*, ასირიოლოგთა, ბიბლიესტთა და კავკასიოლოგთა საზოგადოების წიგნები 10, თბილისი 2012.

44. [ დადგამენ]. 9 შავ ცხვარს და დაკლავენ კედელთან  
 45. [ ]მას და გარეთ გაიტანენ  
 46. [ ეზი]დებიან. 1 ხარს ეზიდება 10 ბრინჯაოს შუბოსანი  
 47. [ ეზიდება 10 ბრინჯაოს შუბოსანი<sup>22</sup>  
 48. [ ]და ტაძარში შეიტანენ მას. და ისინიც  
 49. [ დაკლავენ. მეფე] 20 შუბოსანს გადაუხდის 5 მინა ვერცხლს.  
 50. [ ] თითო აიღებს თავისთვის 10 სიკლ ვერცხლს.
51. [აკურთხებს<sup>23</sup> ] მეფეს აწვდის. მეფე  
 52. [აკურთხებს. ] შავ (თავ) პურებს დაამტვრევენ.  
 53. [და -ის წინ] ისინი. მესუფრეთუხუცესი<sup>24</sup> გატეხს  
 54. [შავ (თავ) პურს და დადებს ქურაზე. ] X<sup>25</sup> [ ]-ის წინ დადგამს  
 55. [ ტახტთან] პურის ნატეხს  
 56. [ ]პურის ნატეხს ქურასთან.  
 57. [ ] წინ [ ] 3 სიკლს,  
 58. [ ქურა]ს ერთხელ, სანმისის წინ ერთხელ

## წინა მხარე II

1. მზარეულთუხუცესი<sup>26</sup> [ტარიგიან შავ ბარძიმს<sup>27</sup> მეფეს მიანვდის].
2. მეფე აკურთხებს მას. მზარეულთუხუცესი ღვთაებ[ის წინაშე კედელთან სამჯერ შესწირავს]
3. მზარეულთუხუცესი უკან დაბრუნდება. შემდეგ [მესუფრეთუხუცესი ]
4. მზარეულთუხუცესი ქურასთან ერთხელ შესწირავს, სანმისთან ერთხელ, ტახტთან ერთხელ,
5. სარკმელთან ერთხელ, საკეტთან ერთხელ [ ], შემდეგ [ღვთაების წინაშე]
6. ქურასთან ერთხელ[ლ].
7. მზარეულთუხუცესი მიანვდის ღვინიან შავ ბარძიმს [მე]ფეს,
8. მეფე აკურთხებს. მზარეულთუხუცესი ღვთაების წინაშე [კედელ]თან 3-ჯერ შესწირავს.
9. მზარეულთუხუცესი უკან დაბრუნდება. შემდეგ მიანოდებს მესუფრეთუხუცესი
10. მზარეულთუხუცესი ქურასთან შესწირავს ერთხელ, სანმისთან [ერთხელ, ტახტთან ერთხელ]
11. სარკმელთან ერთხელ, საკეტთან ერ[თხელ, ]-თან
12. ერთხელ.
13. მეფე დაიჩოქ[ებს], შემდეგ ტახტთან მივა.
14. მწდეს მოაქვს ბარძიმი. მეფე მო[სვამს] ორ(ჯერ). ამინდის ღვთაებისა და ვასეცილის
15. შესწირავს თასით. იშთარის პატარა საკრავის (ხმა) [გაისმის]<sup>28</sup>. მაგალობლები გალობენ.
16. მზარეულთუხუცესს მოაქვს ღვიძლი და კედელთან დადებს, ქურასთან
17. დადებს, სანმისთან დადებს, ტახტთან დადებს, სარკმელთან დადებს,
18. საკეტთან დებს, შემდეგ ისევ ქურასთან დადებს.
19. მზარეულთუხუცესი მიანვდის ღვინიან შავ ბარძიმს მეფეს.
20. მეფე აკურთხებს. [მზარეულ]თუხუცესი შესწირავს [კედელ] თან.
21. მზარეულთუხუცესი უკან მიდის. შემდეგ გამოართმევს სუფრის[ხუცესი] მას

<sup>22</sup> LÚ<sup>MES</sup> ŠUKUR ZABAR

<sup>23</sup> QATAM dāi - „ხელს ადებს“

<sup>24</sup> GAL LÚ<sup>MES</sup> GIŠ BANŠUR

<sup>25</sup> taraur/tarawar - სავარაუდოდ, ქურჭლის სახეობა, იხ. Neu E., StBoT 12 (1970) 70-73.

<sup>26</sup> GAL LÚ<sup>MES</sup> MUḪALDIM

<sup>27</sup> valḫiaš išpanduziašar GE<sub>6</sub>

<sup>28</sup> იშთარის დიდი და პატარა საკრავი უნდა იყოს სავარაუდოდ ზარი („გაისმის ზარის რეკვა“), რაც ტაძარში მყოფთ ძირითადად სიჩუმისკენ მოუხმობს, იხ. Klinger J., *Zur Rekonstruktion der hattischen Kultschicht*, StBoT 37 (1996), 742.

22. მზარეულთხუცესი წრეს დაარტყამს: ერთ[ხელ] ქურასთან, სანმისთან ერთხელ,  
 23. სარკმელთან ერთხელ, საკეტთან ერთ[ხელ], სარკმელთან ერთხელ შესშესწირავს.
24. მეფე ემთხვევა (მინას). მზარეული ღვიძლს აწვდის [მეფეს].  
 25. მეფე აკურთხებს, გამოიტანს გარეთ (ტაძრიდან) და მიანვდის მწდეს.
26. მეფე შევა საკურთხეველში<sup>29</sup>. სეფისკვერის<sup>30</sup>(მომზადების ამბავს) გამოაცხადებენ.  
 27. [ ] მოაქვთ სანმისი და კვლავ ჩამოჰკიდებენ მას.  
 28. [მეფე] აიღებს (ღვთისმსახურების) შესამოსელს და გარეთ გავა.  
 29. [ცის] სკარზე<sup>31</sup>, მიანოდებს მეჭურჭლე<sup>32</sup> მეფეს ბარძიმს.  
 30. [მეფე] იხ[მეფს] მას. მეჭურჭლე აიღებს კვლავ ბარძიმს  
 31. [მეფეს] გადასცემს: ორ ნატებს პურს, 2 ხის ფეშხუმს<sup>33</sup>,  
 32. 2 ფილას<sup>34</sup>. ხელოსანი ემთხვევა (მინას). იგი იღებს კვლავ [(ღვთისმსახურების) შესამოსელს],  
 33. მეფე უკან დაბრუნდება ტაძარში.
34. მეფე და დედოფალი სხდებიან. მზის ქალღვთაების (და) მეცულას ბარძიმიდან მსხდომარენი  
 35. შესვამენ. მესუფრე აიღებს წმინდა ტაბლიდან ორ X<sup>35</sup> (თავ) პურს,  
 36. მიანოდებს მეფეს. მეფე გატეხს. მესუფრე აიღებს მას და დააბრუნებს  
 37. უკან წმინდა ტაბლაზე. იმთარის პატარა საკრავის (ხმა გაისმის). მგალობლები გალობენ.
38. ღვთაების ტაძრიდან გამოაქვთ მათ სამი ხის ფეშხუმი. [ ] შეაქვთ იგი  
 39. და მეფესთან მოაქვთ. მეფე აკურთხებს.  
 40. შემდეგ იგი კვლავ ტაძარში შეაქვთ. [ ] გამოაქვთ  
 41. სამკვეთლოდან<sup>36</sup> საცეცხლური.
42. მეფე და დედოფალი მსხდომარენი შესვამენ ამინდის ღვთაებისა და [ვასეცილისა]  
 ბარძიმიდან.  
 43. მესუფრე [აიღებს] წმინდა მაგიდიდან ორ X[(თავ) პურს],  
 44. ანოდებს მეფეს და მეფე გატეხს მას. მესუფრე მეფეს [გამოართმევს] და უკან  
 45. დადებს წმინდა ტაბლაზე. იმთარის პატარა საკრავის (ხმა) გაისმის. მგალობლები გალობენ.
46. მეფე და დედოფალი მსხდომარენი შესვამენ ღვთაება ინარას ბარძიმიდან.
47. მეფე და დედოფალი მსხდომარენი ემთხვევიან მინას<sup>37</sup>.  
 48. მწდეს შემოაქვს შავი (თავი) პური, მეფეს [ანვდის?]  
 49. დაფდაფების ხმა გაისმის. მგალობლები გალობენ.
50. მეფე და დედოფალი მსხდომარენი ემთხვევიან მ[ინას].  
 51. მწდეს შემოაქვს შავი პური [ ]  
 52. [მგა]ლობლები გალობენ.
53. [მეფე და დე]დოფალი მსხდომარენი ემთხვევიან [ მინას].  
 54. [მწ]დეს შემოაქვს [შავი პური].  
 55. [მგა]ლობლები გალობენ.

<sup>29</sup> tunakeššar = É.ŠÁ - ტაძრის ცენტრალური ადგილი, იხ. აგრეთვე ი. ტატიშვილი, *ხეთური რელიგია* (2001), 32-33.

<sup>30</sup> NINDA<sup>3</sup> ŠARAMA - „სამეფო პური“.

<sup>31</sup> „როდესაც ადრე იქნება“.

<sup>32</sup> LÚ<sup>GIS</sup> TUKUL

<sup>33</sup> GIŠ<sup>3</sup> zal(u)wani, იხ. Neu E., StBoT 12 (1970) 73-76.

<sup>34</sup> DUG<sup>1</sup> huppar-

<sup>35</sup> tuninga-

<sup>36</sup> É<sup>NA4</sup> tuhtumar, დაწვრილებით იხ. Weeks D. M., *Hittite Vocabulary: An Anatolian Appendix to Buck's Dictionary of Selected Synonyms in the Principal Indo-European Language*, Los Angeles (1985) 20-21.

<sup>37</sup> ე.ი. მცირე მეტანიას ასრულებენ.

### უკანა მხარე III

1. საკეტს ]
2. მზარეულთხუცესი [მიანვდის? მეფეს შავ] ღვინიან ბარძიმს
3. მეფე აკურთ[ხებს]. მზარეულთხუცესი ღვთა[ების წინაშე სამჯერ შესწირავს კედელთან].
4. მესუფრეთხუცესი აწვდის. მზარეულთხუცესი შესწირავს [ქურასთან ერთხელ, სანმისთან
5. ერთხელ, ტახტთან ერთხელ, სარკმელთან ერთხელ, საკეტთან ერთხელ,
6. (და) კვლავ ქურასთან ერთხელ.
  
7. მეფე ემთხვევა (მინას), შემდეგ იგი ტახტთან [დაბრუნდება]
8. მწდეს მოაქვს ბარძიმი. მეფე ორჯერ შე[სვამს, ამინდის ღვთაებისა და ვასეცილის]
9. შესწირავს ფ[იალ]ით. იშთარის პატარა საკრავის ხმა (გაისმის). მგა[ლობლები]
10. [გალობენ. ] გამოაქვს გარეთ
  
11. [ ] ხელის დასაბან წყალს აძლევენ. მე[ფე და დედოფალი]
12. [ ] ემთხვევიან (მინას). ამინდის ღვთაების [შემკული] ბარძიმიდან
13. [სვამენ ისინი. მეფე] შესწირავს თასით, დედოფალი კი [არა].
14. [დაფდაფების ხმა] გაისმის. მგალობლები გალობენ.
15. [მწდეს] შავი (და) მყავე [ერთი (თავი)პური] შემოაქვს და [მეფეს] აწოდებს.
16. [იგი გატეხს. მწ]დე იღებს და დადებს ღვთაების წინ კედელთან,
17. [მესუფრე] აიღებს ტკბილ თავ [პურს] წმინდა ტაბლიდან.
18. [მეფე გატეხს და] კვლავ დადებს წმინდა ტაბლაზე.
  
19. [მეფე და დედოფალი] ადგებიან. მდგომარენი ემთხვევიან (მინას)<sup>38</sup>. მზის ქალღვთაების
20. [შემკული] ბარძიმიდან შესვამენ. მეფე შესწირავს [თას]ით,
21. დედოფალი არა. იშთარის დიდი საკრავის (ხმა გაისმის). მგალობლები გალობენ.
22. მწდე აწოდებს მეფეს ტკბილ [(თავ)-პურს], გა ტეხს (მას). სუფრის კაცი
23. აიღებს [ტკბილ (თავ) პურს] წმინდა ტაბლიდან. [მეფე] გატეხს
24. და დადებს უკან [მა]გიდაზე.
  
25. მეფე და [დე]დოფალი მსხდომარენი ემთხვევიან (მინას). ამინდის ღვთაების [შემკული] ბარძიმიდან
26. შესვამენ. მეფე შესწირავს თასიდან, დე[დოფალი კი არ]ა. დაფდაფების (ხმა) გაისმის.
27. მგალობლები გალობენ. [მწდე] აწოდებს შავ მყავე პურს
28. [მეფეს]. იგი გატეხს მას. მწდე [გამოართმევს მეფეს] მას და მიანოდებს სუფრის კაცს.
29. [ტაბლის კა]ცი მას ღვთაების წინ დადებს კედელთან. ტაბლის კა]ცი მიანოდებს ტკბილ პურს
30. [წმინდა] ტაბლიდან მეფეს და იგი [გატეხს მას. სუფრის კაცი]
31. [წმინდა ტაბლაზე] დებს (მას). დედოფალიც ას[ევე იქცევა].
  
32. მეფე და დედოფალი მს[ხდომარენი] ემთხვევიან (მინას). ამინდის ღვთაების შემკული ბარძიმიდან შესვამენ.
33. მეფე [შესწირავს] თასიდან, დედოფალი კი არა. დაფდაფების] ხმა გაისმის.
34. მგალობ[ლები] გალობენ. მწდე აწოდებს შავ (და) მყავე [ერთ (თავ) პურს]
35. მეფეს. იგი გატეხს. მწდე აიღებს, მიანოდებს ს[უფრის] კაცს
36. და სუფრის კაცი ღვთაების წინ დებს კედელთან.
  
37. მეფე და დედოფალი მსხდომარენი ემთხვევიან (მინას). [ამინ]დის ღვთაების შემკული ბარძიმიდან
38. სვამენ. მეფე შესწირავს თასიდან, დედოფალი კი ა[რა]. დაფდაფების (ხმა) გაისმის.
39. მგალობლები გალობენ. მწდე აწოდებს მყავე და შავ ერთ [(თავ)-პურს,
40. მეფეს. იგი გატეხს მას. მწდე იღებს და აწოდებს სუფრის კაცს.
41. სუფრის კაცი ღვთაების წინ დებს კედელთან.

<sup>38</sup> ე.ი. დიდ მეტანიას ასრულებენ.

42. მეფე და დედოფალი მსხდომარენი ემთხვევიან (მინას). ამინდის ღვთაების შემკული ბარძიმიდან შესვამენ.
43. მეფე შესწირავს თასიდან, დედოფალი კი არა. დაფდაფების (ხმა) გაისმის.
44. მგალობლები გალობენ. მნდე მიანოდებს მჟავე და შავ (თავ)-პურს,
45. მეფეს. იგი გატეხს მას. მნდე აიღებს და მიანოდებს სუფრის კაცს.
46. სუფრის კაცი ღვთების წინ დებს კედელთან.
47. მეფე და დედოფალი მსხდომარენი ემთხვევიან (მინას). [ამინ]დის ღვთაების შემკული ბარძიმიდან
48. სვამენ. მეფე შესწირავს თასიდან, დედოფალი კი ა[რა]. დაფდაფების (ხმა) გაისმის.
49. მგალობლები გალობენ. მნდე ანოდებს ერთ [(თავ)-პურს, მჟავესა და შავს
50. მეფეს. იგი გატეხს მას. მნდე აიღებს და მიანოდებს სუფრის კაცს.
51. სუფრის კაცი ღვთების წინ დებს კედელთან.
52. მეფე და დედოფალი მსხდომარენი ემთხვევიან (მინას). [ამინ]დის ღვთაების შემკული ბარძიმიდან
53. სვამენ. მეფე შესწირავს თასიდან, დედოფალი კი ა[რა]. დაფდაფების ხმა გაისმის.
54. მგალობლები გალობენ. მნდე ანოდებს ერთ [(თავ)-პურს, მჟავესა და შავს
55. მეფეს. იგი ტეხავს მას. მნდე აიღებს და მიანოდებს სუფრის კაცს.
56. (სუფრის კაცი დადებს მას ღვთების წინ კედელთან).

#### უკანა მხარე IV

1. [ ]
2. [ იშთა]რის-საკრავი
3. [ მიანოდებს] მნდე მჟავე და შავ (თა[ვ] პურს,]
4. [ მეფე] გატეხს და იხმევს.
5. [ ემთხვე]ვიან (მინას). მზის ღვთაების ბარძიმიდან შესვამენ.
6. [ ] ნითელ (თავ)პურს ტეხს იგი. ლაშქარს უკან [ ]
7. [ ] სვამენ. დიდი იშთარის საკრავის (ხმა გაისმის)
8. [ ერთ (თავ)]<sup>39</sup> პურს ტეხს.
9. [ უხუცესს<sup>40</sup> ] .
10. [ ღვი]ნიან (ბარძიმს) გადასცემს იგი.
11. [ ხოტბ]ით და იგი იღებს თავისთვის.
12. [ ] დამსხდარნი შესვამენ. დიდი იშთარის საკრავის (ხმა გაისმის)
13. [ დი]დებულები სატრაპეზოდ მიდიან.
14. [ (მუხლს)] იყრიან. მეფე შესწირავს თასით.
15. [ ამ]ინდის ღვთაების და ვა[სეცილის პატივისაცემად] შესვამენ.
16. [ მგალობლები] გალობენ. მნდე აიღებს სასმისს.
17. [ ] X-ს დებს იგი და იგი მეფის წინ
18. [ ] შედის საკურთხეველში. მეფე [გან]მენდს] ტაბლებს.
19. [მეფე ]მიდის, დედოფალი დგება (და) მუხლს იყრის.
20. [ ] იგი. დიდი იშთარის საკრავის (ხმა გაისმის). მგალობლები გალობენ.
21. [ ] ტაბლებს და შედის საკურთხეველში
22. [ ]ოქროს შუბოსანი მეფის ტაბლას და დედოფლის ერთ

<sup>39</sup> NINDA<sub>1</sub> zippulašši = NINDA<sub>1</sub> ḫarši

<sup>40</sup> LÚ.MEŠ<sup>3</sup> ŠU.GI, დანვრილებით იხ. Klengel H., ZA NF 23 (1965) 223.

23. [                    ] ტაბლას იღებენ ისინი და გარეთ გააქვთ.
24. [ფარდას ჩა]მოაფარებენ, კარს დახურავენ. მეფე წმინდა სანოლზე (დანვება)
25. [                    ] (თავ) პურს გატეხენ, სასახლის მსახურთა უფროსს მიაწოდებს.
26. [                    ] ღამე. დასასრული.
27. [ცისკარზე] ფარდას გადასწევენ, მეფე (ღვთისმსახურების) შესამოსელს
28. აიღებს. [                    ] გამოვა. გა[რეშე კაცი                    ]
29. [                    ] წინ. ორ შავ (თავ) პურს გატეხ[ს                    ]
30. [                    ] აიღებს. ლუდითა (და) ღვინით შესწესწირავს. შემდეგ ემთხვევა (მინას).
31. [მეფე გა]რეთ გავა. მზარეულები შემოვლენ და ხორცს
32. [                    ]. მეფე შემოვა გარედან, შევა საკურთხეველში.
33. [სეფისკვე]რის (მომზადების ამბავს) გამოაცხადებენ. მეფე დაჯდება. რომელი სასმი[სებიც] მუდამ სავსეა
34. [შესვა]მს იგი, ასევე შესვამს სხვებსაც.
35. [როდესაც გა]აღებენ, მიდიან სატრაპეზოში<sup>41</sup>.
36. [სეფისკვე]რს (მომზადების ამბავს) გამოაც[ხადებენ. მზარეულთუხუცესი და მზარეულები ხორცს დაღებენ.
37. [                    ] ღვინიან შავ ბარძიმს აიღებს. კედელთან
38. [ღვთაებას ერთხელ] შესწესწირავს. ქურასთან ერთხელ, სანმისთან ერთხელ,
39. [ტახ]ტთან ერთხელ, სარკმელთან ერთხელ, საკეტთან ერთხელ,
40. [სარკმელ]თან ერთხელ შესწესწირავს იგი.
41. [მეფე] და დედოფალი დასხდებიან. რომელი სასმისიც მუდამ სავსე(ა, იქიდან) შესვამენ,
42. ასევე შესვამენ სხვებსაც. დასასრული.

ჭექა-ქუხილის ფირფიტები

---

<sup>41</sup> mistiliya-, იხ. *Chicago Hittite Dictionary (CHD)*, (1989) 300.